# გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას — XX საუკუნის მთავარ მოვლენას, კაპიტალიზმიდან სოციალიზმისკენ კაცობრიობის მსოფლიო-ისტორიული შემობრუნების დასაწყისს!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 219 (6274)

1978 წ. 7 ნოემბერი, სამშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

აღსრულდა სპორტის მოყვარულთა ოცნება — თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებმა მეორედ მოიხვეჭეს სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლები. თავი გამოიჩინეს „ლოკომოტივის“ რეგბისტებმაც, რომლებიც საკავშირო თასის მფლობელები გახდნენ.

ჩვენი ბიჭების ეს გამარჯვებები შესანიშნავი საოქტომბრო საჩუქარია.




გ. იაშვილის ნახატი.

# მძლავრი ნაბიჯები

დღეს 7 ნოემბერია!

მშვიდობისა და თავისუფლებისთვის მებრძოლი ადამიანების უველაზე ლამაზი და თვალწარმტაცი დღესასწაული, საბჭოთა კავშირის ხალხთა თავდადებული და გმირული შრომისა და ბრძოლის 61-ე წლისთავი!

კაცობრიობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიისთვის ბევრს, ძალიან ბევრს ნიშნავს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ განვლილი 61 წელიწადი. დროის ამ მონაკვეთში უდიდესი ცვლილებები მოხდა დედამიწაზე: ესაა მარქსიზმ-ლენინიზმის უკვდავი მოძღვრების დამაჯერებელი გამარჯვების, იმპერიალიზმის უღლისაგან მშრომელთა განთავისუფლებისთვის, ხალხთა შორის ომების შეწყვეტისთვის, სოციალიზმისა და კომუნიზმისთვის ბრძოლის ეპოქა. მსოფლიოში პირველმა სოციალისტურმა სახელმწიფომ არნახული პროგრესი განიცადა — განმტკიცდა და შედუღაბდა მრავალეროვან საბჭოთა ხალხთა მძლე კავშირი; უსწრაფესი ტემპით განვითარდა ეკონომიკა და მეცნიერება, კულტურა და ხელოვნება; ჭეშმარიტად საერთო სახალხო გახდა ფიზიკური კულტურა და სპორტი.

დიდი დღესასწაულის ჟამს ჩვენ, ტრადიციისამებრ, ერთხელ კიდევ ვავლებთ თვალს იმ გზას, რომელიც საბჭოთა ფიზკულტურულ-სპორტულმა მოძრაობამ ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებიდან დღემდე გაიარა. 61 წელიწადი... ეს ფიზიკური აღზრდის საბჭოური სისტემის მძლავრი აღმავლობის წლებია, საბჭოთა სპორტის უდიდესი მიღწევების მატიანე. დღეს ჩვენი ქვეყნის ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობაში 55 მილიონამდე ადამიანია ჩაბმული და მასობრიობის თვალსაზრისით ბადალი არ ჰყავს მსოფლიოში. საწარმოებში, დაწესებულებებში, სასწავლებლებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 220 ათასი ფიზკულტურის კოლექტივია, მათ განკარგულებაშია 3295 სტადიონი, 66386 სპორტული დარბაზი, 1454 საცურაო აუზი და 600 ათასზე მეტი სხვადასხვა ტიპის სპორტული მოედანი. თუ ამ ციფრებს რევოლუციამდელ მაჩვენებლებს შევადარებთ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა ფიზკულტურულ-სპორტულმა მოძრაობამ 61 წლის მანძილზე საუკუნეთა ტოლი გზა განვლო. ყოველივე ეს კი ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებისთვის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მამობრივი, ყოველდღიური ზრუნვის შედეგია, რაც, თავისთავად, სავსებით ბუნებრივი და კანონზომიერი მოვლენაა. ფიზიკური აღზრდის საბჭოური სისტემა ხომ თავისი პირველი ნაბიჯებიდანვე დამკვიდრდა, როგორც დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე და შემდგომში სოციალური პროგრესის მძლავრ იარაღად გადაიქცა. ეს პროცესი, ფიზიკური კულტურისა და სპორტის ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაში დამკვიდრების პროცესი უხსოვარ დროში იღებს სათავეს, მაგრამ, როცა საბჭოთა ქვეყნის, აგრეთვე, ჩვენი რესპუბლიკის ფიზკულტურელებისა და სპორტსმენებით მნიშვნელოვან წარმატებებს ვეხებით, როცა ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრიობაზე, მის ჭეშმარიტად საერთო-სახალხო ხასიათზე ვლაპარაკობთ, ბუნებრივია, ყოველივე ამას ვუკავშირებთ კაცობრიობის ნათელი მომავლის დასაბამს — დიად ოქტომბერს.

ნიშანდობლივია, რომ სწორედ ამ დღეებში, ოქტომბრის რევოლუციის სადღესასწაულო დღეებში ჩვენი ფიზკულტურელები და სპორტსმენები უპატაკებენ სამშობლოს, კომუნისტურ პარტიას, მთელ საბჭოთა ხალხს თავიანთი წარმატებების შესახებ, რომლებიც მათ უკანასკნელ პერიოდში მოიპოვეს ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებში, სხვა საერთაშორისო მასშტაბის შეჯიბრებებში.

ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებს ყოველთვის შეჰქონდათ და შეაქვთ მნიშვნელოვანი წვლილი საბჭოთა კავშირის ფიზკულტურულ სპორტულ მოძრაობაში. საქართველოს ხშირად სპორტულ რესპუბლიკასაც უწოდებენ და ეს შემთხვევითი როდია. მართალია, სსრ კავშირის ხალხთა ბოლო სპარტაკიადებზე ქართველმა სპორტსმენებმა მნიშვნელოვნად დათმეს პოზიციები, მაგრამ უკანასკნელ პერიოდში, განსაკუთრებით კი რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის 1977 წლის 2 ივლისის კრების შემდეგ, მთელ ჩვენს ფიზკულტურულ-სპორტულ მოძრაობაში ხელშესახებად შეინიშნება გაჯანსაღების, წინსვლის პროცესი, ეს, პირველ რიგში, ჩვენი სპორტსმენების წარმატებებში გამოიხატა. მიმდინარე წელიწადში მნიშვნელოვანი გამარჯვებები

(დასასრული მე-2 გვ.).

## საშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციების მუშებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებსა და მოსამსახურეებს, დამპროექტებლებსა და მანქანათმშენებლებს, ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის ყველა მონაწილეს

ძვირფასო ამხანაგებო!

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში დიდი კმაყოფილებით შევიტყვეთ, რომ დიდი ოქტომბრის სახელოვანი წლისთავის წინ ვადამდე ამოქმედდა ენგურის ჰიდროელექტროსადგურის 260 ათას კილოვატიანი სიმძლავრის პირველი აგრეგატი.

გულითადად მოგილოცავთ ამ შესანიშნავ შრომით გამარჯვებას. იგი მოპოვებულია იმის მეოხებით, რომ თავდადებით შრომობს მშენებელთა და მემონტაჟეთა მრავალეროვანი კოლექტივი, შემოქმედებითი თანამეგობრობაა დამყარებული სამეცნიერო-კვლევით და საპროექტო ინსტიტუტებთან, მოწყობილობის დამამზადებელ ქარხნებთან, დიდ ორგანიზატორულ და პოლიტიკურ მუშაობას ეწევა საქართველოს რესპუბლიკური პარტიული ორგანიზაცია, აგრეთვე, ენგურჰესის მშენებლობის მონაწილე ყველა პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაცია.

პარტიისა და ხალხის ნება-სურვილისამებრ, საქართველოს ძველთაძველ, საარაკო მთებში შენდება ამიერკავკასიის უდიდესი ჰიდროელექტროსადგური, უნიკალური მაღლივი კაშხალი, რომელიც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უახლეს მიღწევებს განასახიერებს. ამიერიდან დამორჩილებული ბობოქარი ენგურის ენერგია საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობას მოხმარდება. ეს ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა ხალხთა და ერთა ძმური და ურღვევი კავშირის ძლიერების კიდევ ერთი მკაფიო მაგალითია.

მწამს, რომ ენგურჰესმშენის მრავალათასიანი კოლექტივი სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილების შესასრულებლად არ დაიშურებს ძალ-ღონესა და უნარს, რათა მიმდინარე წელს აამოქმედოს კიდევ ორი ჰიდროაგრეგატი, რაც შეიძლება მალე დაამთავროს ენგურჰესის მშენებლობა და აამუშაოს იგი 1300 ათასი კილოვატი სრული სიმძლავრით.

გულითადად მოგილოცავთ, ძვირფასო ამხანაგებო, აგრეთვე, დიდი ოქტომბრის დღესასწაულს, გისურვებთ ჯანმრთელობასა და ბედნიერებას.

ლ. ბრეჟნევი.

ჯანსულ ჩარკვიანი

## გამარჯვებულთა სადღეგრძელო!

წვეთ-წვეთად,
მისხალ-მისხლითა, —
მორიონდა და მომტკვარდა.
იმ ჯიგარით და სისხლითა
რაიც ალგეთით მოგვდგამდა.
მეც თქვენთან ერთად ვიარე,
მეც თქვენთან ერთად ვიომე,
თქვენი გულების იარებს
ტკივილი გავუიოლე.
გოლზე ცხრა გოლის პასუხით
მინდვრები გადაიჯეგოს,
თქვენ შემოგევლოთ
ჯანსული —
ცხრათავიანო ბიჭებო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მძლავრი ნაბიჯები

დასასრული

მოიპოვეს სპორტის მთელი რიგი სახეობების წარმომადგენლებმა — საბჭოთა კავშირის ჩემპიონები გახდნენ ძიუდოისტები თ. ნამგალაური და ბ. გოგიჩაშვილი, მოკრივე ა. ხიზანიშვილი, მძლეოსნები — ლეგენდარული ვ. სანეევი და ს. ბუნბა, მშვილდოსანი ქ. ლოსაბერიძე, თბილისელმა ვ. ულაბიძემ პირველად მოიპოვა ევროპის ჩემპიონის წოდება კლასიკური სტილის მოჭიდავეთა შორის, შემდეგ კი პლანეტის უძლიერესი ფალავნის სახელიც დაისაკუთრა, ევროპის ჩემპიონის ტიტულს მეორედ დაეუფლა სახელოვანი ფალავანი ლ. თედიაშვილი, ხოლო ა. მეტრეველმა მეექვსედ მოიპოვა კონტინენტის უძლიერესი ჩოგნის სახელი, ევროპის ჩემპიონი გახდა, აგრეთვე, სასტენდო სროლის ოსტატი თ. იმნაიშვილი, ჩვენმა ნორჩმა სპორტსმენებმაც ბევრ ახალგაზრდულ შეჯიბრებაში გამოიჩინეს თავი. მოსწავლეთა XV საკავშირო სპარტაკიადაზე საქართველოს წარგზავნილებმა 36 მედალი დაისაკუთრეს. მათ შორის 12 ოქროსი. გაგვახარეს ბურევესტნიკელმა ხელბურთელებმა და რკინიგზელმა რეგბისტებმა, რომლებმაც საბჭოთა კავშირის თასები მოიპოვეს. შთამბეჭდავი იყო 17 წლის მ. ჩიბურდანიძის გამარჯვება ჭადრაკში მსოფლიოს ჩემპიონობისთვის მატჩში.

და აი, სადღესასწაულო დღეებში, ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვეს თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებმა — საბჭოთა კავშირის 1978 წლის ჩემპიონის ოქროს მედლები დაისაკუთრეს. ქართველ ფეხბურთელთა ეს დიდი წარმატება თავისებური გვირგვინია წლევანდელი სპორტული სეზონისა.

სასიამოვნოა, რომ ოქტომბრის რევოლუციის 61-ე წლისთავს საქართველოს ფიზკულტურელები და სპორტსმენები დიდი სპორტული ნადავლით შეეგებნენ. წლევანდელი შემოდგომა ხელხვავიანი იყო ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებისთვისაც; სოფლის მეურნეობის მუშაკებმა, მეჩაიეებმა და მევენახეებმა სარეკორდო მოსავალი მოიწიეს და ვადამდე ადრე გადაჭარბებით შეასრულეს გეგმები და ვალდებულებები. ამ წარმატებაში თავიანთი წვლილი შეიტანეს სოფლის ფიზკულტურელებმა, იმათაც, ვინც დიდ სპორტულ სარბიელზე თავდადებით იცავდა რესპუბლიკის სპორტულ ღირსებასა და ამით ფლაღებდა მშრომელი კაცის გუნება-განწყობილებას, ახალი შრომითი გმირობისაკენ უბიძგებდა.

ამჟამად საქართველოს ფიზკულტურული ორგანიზაციების, მწვრთნელებისა და სპორტსმენების ყურადღება სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადისაკენ და მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიური თამაშებისკენაა მიპყრობილი. ამ უდიდესი სპორტული ფორუმებისთვის მზადება მთავარი სადღეისო საზრუნავია, აშკარაა, რომ თანამედროვე სპორტულ სამყაროში მეტნაკლებად მნიშვნელოვანი წარმატების მოპოვება სულ უფრო რთული ხდება. მხოლოდ თავდადებული, სისტემატური, თანამედროვე მეთოდებს დაფუძნებული წვრთნავარჯიში და მიზნისკენ შეუნელებელი სწრაფვა თუ გამოიღებს ნაყოფს. გუშინდელი დღე, გუშინდელი შედეგები უკვე ისტორიის საკუთრებაა და მომავლის იმედად ვერ გამოდგება. ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობა ვერ ითმენს შეყოვნებას, აღებული ტემპის მცირეოდენ შენელებასაც კი.

ჩვენ განსაკუთრებული სიამაყით ველით მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებს. ის, რომ ოლიმპიადა პირველად ჩატარდება სოციალისტური სახელმწიფოს მიწაზე, ერთხელ კიდევ თვალნათლივ ადასტურებს ოლიმპიური მოძრაობის განვითარებისთვის საბჭოთა სპორტის უდიდესი როლის აღიარებას. „სსრ კავშირი უჭერდა და უჭერს მხარს თანამედროვე ოლიმპიურ მოძრაობას. ახლა საბჭოთა ადამიანები 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიადისთვის ემზადებიან და ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა მან მაღალ დონეზე ჩაიაროს და ახალი იმპულსი მიანიჭოს მეგობრობისა და მშვიდობის კეთილშობილურ იდეებს“. ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ამ სიტყვებს ერთსულოვნად უერთდება საბჭოთა ფიზკულტურელებისა და სპორტსმენების მრავალმილიონიანი არმია.

# ქართული ფეხბურთის ზეიმი

## თბილისის „დინამო“ სსრ კავშირის ჩემპიონია



ბურთი თეთრმაისურიან ფეხბურთელებს აქვთ. უსაშველოდ გრძელდება უკანასკნელი წუთი. მინდორზე მოსკოვური სიცივეა, ცივა ტრიბუნაზეც, მაგრამ სამხრეთელთა „დინამო! დინამო!“ მაინც თავისას შვრება — აღარავის ახსენდება გათოშილი ხელ-ფეხი.

გონება წაძაბული ითვლის: ორმოცი წამი, ოცდაათი, ოცი...

ათიათასობით ქართველი ტელემაყურებელი მოლოდინით მისჩერებია ეკრანს, მერე დიქტორის ხმაც: „ახლა კი დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ...“

ვერაფრით გავიხსენე, ვის ჰქონდა ბურთი იმ წამს...

დამთავრდა!

წერტილი დაესვა ღელვას, ნერვიულობას, ქართველ ფეხბურთელთა წლევანდელ ჟინიან სვლასა და თოთხმეტწლიან მოლოდინს — თბილისის „დინამო“ სსრ კავშირის ჩემპიონია!

მაშინვე წარმოვიდგინე ბედნიერი სახეები, მილოცვები და სიცილნარევი ცრემლები. ყველასი, ვინც გულში ატარებდა ამ სურვილსა და ოცნებას, ვინც თუნდაც თითო აგური მაინც დადო ჩვენი ფეხბურთის ორმოცწლიან ისტორიის კედელზე.

კინოკადრებივით გარბიან თვალწინ ძველისძველი სურათები: ქართული ფეხბურთის პირველი რაინდები — პაიჭაძე, ჯეჯელავა, დოროხოვი... გრძელტრუსიანი, შეუპოვარი და მუხლმაგარი ბიჭები. როგორ, რამდენის მიერ და რამდენ ხანს ნალოლიავები მიზანი, წლების მანძილზე უსამართლოდ რომ უვლიდა გვერდს პირველობისთვის დაბადებულ გუნდს. შეუჩერებლად ცვლიან ერთმანეთს სურათები: ძნელბედობა, სიხარული და იმედგაცრუება... გულმოუდლელი ანდრო ჟორდანია, ქედუდრეკი ავთანდილ ღოღობერიძე, შოთა იამანიძე, მესხი, მეტრეველი, ჩოხელი, ბარქაია... 1964 წელი, პირველი დიდი სიხარული; ისევ წლები — მოლოდინისა და იმედის, მურთაზ ხურცილავა, კახი ასათიანი, მანუჩარ მაჩაიძე, დავით ყიფიანი, ისევ ახალი სახელები და 76-ის ბროლის თასი, ნოდარ ახალკაცი და ბიჭები, დარჩეულები, სულ კარგები, ახლა უკვე მთლად ოქროსი...

ასეც უნდა მომხდარიყო. კარგა ხანია ველოდით, ყველამ ვიცოდით და მაინც....

ჩათავდა ის ბოლო წუთიც და ნობათივით ჩამოიგდა საქართველოში ათასი მილოცვა, სიხარული და სიცილნარევი ცრემლი...

თბილისის „დინამო“ ჩემპიონია!

* * *

სურათზე: მარცხნიდან (პირველ რიგში) ვლადიმერ გუცაევი, გოჩა მაჩაიძე, თენგიზ სულაქველიძე, რამაზ შენგელია, თამაზ კოსტავა; (მეორე რიგში) ვიტალი დარასელია, დავით გოგია, ალექსანდრე ჩივაძე, ვახტანგ ქორიძე, რევაზ ჩელებაძე, მანუჩარ მაჩაიძე.

ჩვენი სპეც. კორესპონდენტის ა. კოტორაშვილის ფოტო (სურათი გადაღებულია მატჩის დამთავრებისთანავე).

## ულოცავენ დიდ გამარჯვებას






# ჩემპიონები — ჩემპიონებს!

გუშინდელი დღე განსაკუთრებით საზეიმო იყო ყველასათვის, ვისთვისაც კი ძვირფასია ქართული ფეხბურთის ბედ-იღბალი, მისი აწმყო და მომავალი, ვისაც ღვიძლ საქმედ მიაჩნია ჩვენი ფეხბურთელების წარმატებები.

საქართველოს პირველმა გუნდმა, თბილისის დინამოელთა სახელოვანმა კოლექტივმა, საბოლოო წერტილი დაუსვა თავის შესანიშნავ გამოსვლებს სსრ კავშირის 41-ე საფეხბურთო ჩემპიონატში და ღირსეულად მოიპოვა ესოდენ მაღალი და საპატიო ჯილდო — ოქროს მედლები.

თბილისის „დინამო“ მეორედ ხდება საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ფეხბურთში. პირველი დიდი გამარჯვება გუნდმა იზეიმა 1964 წელს ტაშკენტში და გუშინწინ ეს წარმატება მოსკოვში გაიმეორა ახალმა თაობამ, ვეტერანთა ღირსეულმა შემცვლელებმა.

გუშინწინდელი მატჩის რეპორტაჟს რადიოთი ისმენდა 1964 წლის საბჭოთა კავშირის ჩემპიონთა ერთი ჯგუფი. ტრანსლაციის დამთავრების შემდეგ მათ დაგვირეკეს რედაქციაში და გვთხოვეს ყველა მათგანის სახელით, ვინც კი ჩემპიონის წოდების მფლობელი იყო 1964 წელს, მიგველოცა ოქროს მედლები დინამოელებისთვის და გამოგვექვეყნებინა მათი კეთილი სურვილები „ლელოს“ ფურცლებზე.

მილოცვას ხელს აწერენ 1964 წლის სსრ კავშირის ჩემპიონები: ს. კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, ვ. რეხვიაშვილი, ჯ. ზეინკლიშვილი, გ. ცხოვრებოვი, გ. სიჭინავა, ი. დათუნაშვილი, ვ. ბარქაია, ს. მეტრეველი, მ. მესხი, გ. პეტრიაშვილი.

# „დინამო-64“-ის მწვრთნელთაგან

თბილისის „დინამოს“ მიერ მოსკოვის ცსკა-სთან მოპოვებული გამარჯვების შემდეგ ჩვენს რედაქციას მოსკოვიდან დაუკავშირდა ქართული ფეხბურთის დიდი მეგობარი, სპორტის დამსახურებული ოსტატი გ. კაჩალინი, რომელმაც განაცხადა, რომ ეჭვი არ ეპარება თბილისელთა საბოლოო გამარჯვებაში და გვთხოვა იმ მილოცვათა შორის, რომლებიც მრავლად იქნება თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა და მისი ხელმძღვანელობის მიმართ, აუცილებლად იყოს გუნდის 1964 წლის ხელმძღვანელობის მილოცვაც ასეთი შემადგენლობით: გ. კაჩალინი, ა. ლოლობერიძე, ა. კოტრიკაძე.

# ულოცავენ დიდ გამარჯვებას

**რაც** თბილისის „დინამო“ მახსოვს, სულ მის თვითმყოფადობაზე და იმაზე ლაპარაკობდნენ, რომ თამაშის მანერით არც ერთ გუნდს არა ჰგავს. დღეს მე თქვენს დინამოელებს პირველ რიგში ვულოცავ იმას, რომ ისინი სწორედ რომ ჰგვანან ჭეშმარიტ ჩემპიონებს. იმიტომ, რომ ჩემპიონობას თავისი კანონები აქვს და ოქროს მედლებს, რომ იტყვიან, მხოლოდ შიშველი „თავისებურებით“ ვერ მოიპოვებ. ვუსურვებ თბილისელ დინამოელებს ასე განაგრძონ, და არა მარტო ჩვენი ქვეყნის სტადიონებზე...

**ლევ ფილატოვი,**
ყოველკვირეული „ფუტბოლ-ხოკეის“ რედაქტორი.

●

**მთელი** სულითა და გულით ვულოცავ დიდ, დამსახურებულ გამარჯვებას — ოქროს მედლების მეორედ მოპოვებას თბილისის „დინამოს“ ყველა თაყვანისმცემელსა და ერთგულ მეგობარს.

გეხვევით, გკოცნით!

**მუდამ თქვენი მიხეილ იაკუშინი.**

●

**თბილისის** „დინამოს“ გამარჯვება, შეიძლება ითქვას მთელი, ამიერკავკასიის ფეხბურთის გამარჯვებაა, რომელსაც, როგორც ცნობილია, ძველი და სახელოვანი ტრადიციები აქვს.

გისურვებთ შემდგომში ქვეყნის ჩემპიონების ოქროს მედლების კიდევ არაერთგზის მოპოვებას — თქვენი ერთგული თაყვანისმცემლების გულების გახარებას!

**აზერბაიჯანის სპორტული გაზეთის „სპორტის“ რედაქციის კოლექტივი.**

●

**თბილისის** დინამოელები მთელი სეზონია ლიდერობენ საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში, მათ თვეულს ტოლი არა ჰყოლიათ, იმიტომ გამარჯვება ყოველმხრივ დამსახურებულია.

ვულოცავთ დინამოელებს ჩემპიონთა ოქროს მედლებს.

**ქუთაისის „ტორპედოს“ ფეხბურთელთა კოლექტივი.**

●

**მთელი** საქართველოს სპორტის მოყვარულებს ვულოცავთ თბილისის „დინამოს“ დიდ წარმატებას წლევანდელ ჩემპიონატში! უმაღლესი ღირსების მედლები ჭეშმარიტად ღირსეულთ ხვდათ.

გვჯერა, რომ ქართველი ფეხბურთელები კვლავაც არაერთგზის გაახარებენ თავიანთ თაყვანისმცემლებს, რომლებიც მრავლად არიან ჩვენთან, სომხეთშიც.

**ერევნის „არარატის“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდი.**

●

ძვირფასო მეგობრებო! ქართული საბჭოთა სპორტის ჭეშმარიტო რაინდებო! მოუთმენლად ველოდით დღეს, რომელიც თქვენს გამარჯვებას წერტილს დაუსვამდა... გილოცავთ, გვიხარია.

ვაშა, თქვენს სპორტულ დროშას, რომლის ფარჩაზეც ოქროს ასოებით ამოიქარგა — „სიჩაუქე, ბრძოლა და გამარჯვება“. ვაშა, თქვენს პირველობას, გამარჯვების ქარიშხლებით მოგველოთ მსოფლიოს უდიდესი სტადიონები.

ტაშს გიკრავენ ქართველი მწერლები.

**საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირი.**

●

**გთხოვთ** თქვენი გაზეთის საშუალებით თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის ხელმძღვანელებს — ნოდარ ახალკაცს, კახი ასათიანს, სერგო კუტივაძეს და ყველა დინამოელს მიულოცოთ საბჭოთა კავშირის ჩემპიონის სახელის მოპოვება.

**ზუგდიდის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა სახელით: მურთაზ ხურცილავა, ავთანდილ ხელაძე, ჯემალ გოგია.**

●

**მთელი** სეზონი ვუცდიდი იმ დღეს, ბედნიერ დღეს, როცა თბილისის „დინამო“ ოქროს მედლების ორგზის მფლობელი გახდებოდა. სულით და გულით ვულოცავ ფეხბურთელებს, მათს მწვრთნელებს, ყველა ქართველ გულშემატკივარს ამ დიდ გამარჯვებას.

**გიორგი მდივანი,**
კინოდრამატურგი.







მოსკოვის „ლოკომოტივის“ ფეხბურთელებმა პირველებმა მიულოცეს თბილისის დინამოელებს ჩემპიონობა.

# „ოქროს“ ქულა მოსკოვიდან

მოსკოვი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 5 ნოემბერი.

„ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „დინამო“ (თბილისი) 0:0.

**„ლოკომოტივი“:** სამოხინი, კალაიჩევი, ოვჩინიკოვი, კამზულინი, შელესტი (სუხინი), რიახოვსკი, პეტრაკოვი, ილინი, შევჩუკი, ავერიანოვი, გაზაევი.

**„დინამო“:** გოგია, კოსტავა, სულაქველიძე, ჩივაძე, გ. მაჩაიძე, დარასელია, მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, ყიფიანი (ჩელებაძე), შენგელია.

მსაჯი ი. იგნატოვი (კალუგა).

დუბლიორები — 2:3. თბილისელთაგან ბურთები გაიტანეს მუმლაძემ (2) და ჯოხაძემ.

სპორტული მიმომხილველები ამ ბოლო დროს ხშირად გამოთქვამდნენ აზრს, რომ თბილისის „დინამოს“ ერთი ნაბიჯი დარჩა ჩემპიონის წოდების მოსაპოვებლად, მაგრამ ზოგიერთი უფრო აკონკრეტებდა ამ მოსაზრებას და ოქროს მედლების მოსაგებად საკმარისი მიაჩნდა უფრო ნაკლებიც — ნახევარი ნაბიჯი, ე. ი. ერთ-ერთი რომელიმე მატჩის ფრედ დამთავრება.

ამ „ნახევარი ნაბიჯის“ გადადგმას 28-ე ტურში მოველოდით ლენინგრადის „ზენიტთან“, მაგრამ მაშინ ეს „ოქროს პროცედურა“ გადაიდო მცირე ხნით, სულ ერთი ტურით და, აი, 5 ნოემბერს მოსკოვის „ლოკომოტივის“ სტადიონზე შედგა მატჩი მასპინძლებთან, სადაც საბოლოოდ გადაწყდა იმ დიდი გამარჯვების, ბრწყინვალე წარმატების საკითხი, რომელმაც ჩვენი საუკეთესო გუნდი — თბილისის „დინამო“ მისი არსებობის ისტორიაში მეორედ აიყვანა კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე.

თბილისის „დინამო“ სსრ კავშირის 1978 წლის ჩემპიონი გახდა.

29-ე ტურისთვის ჯერ კიდევ იყო დარჩენილი იმის თეორიული ვარიანტი, რომ 3 გუნდს (თბილისის, კიევის, მოსკოვის „დინამო“) დაეგროვებინა ქულათა თანაბარი რაოდენობა და ისინი, დებულების თანახმად, უკვე გათამაშების დამთავრების შემდეგ გაითამაშებდნენ ხელახალ „მცირე ჩემპიონატს“ საამისოდ თბილისის „დინამოს“ უნდა წაეგო ორივე დარჩენილი შეხვედრა, კიევისა და მოსკოვის დინამოელებს კი დარჩენილ 2-2 მატჩში გაემარჯვათ. მაგრამ ჩემპიონობის პოტენციურ პრეტენდენტთა სამეულს უკვე 4 ნოემბერს გამოაკლდნენ მოსკოველები, რომლებმაც შინ ფრედ ითამაშეს „არარატთან“, 5 ნოემბერს კი ყოველგვარი თეორიული ჰიპოთეზა უსაფუძვლო და უსარგებლო შეიქნა: ბრძოლა ოქროს მედლებისთვის დამთავრდა თბილისის „დინამოს“ გამარჯვებით.

გადამწყვეტი მატჩი „ლოკომოტივთან“ წარიმართა ძალზე საინტერესოდ. მართალია, სპორტული თანაფარდობა თითქოს დარღვეულიც იყო: ერთი მხარე იბრძოდა უმაღლესი ჯილდოსთვის, მეორეს კი ასეთი სტიმული არ გააჩნდა, მაგრამ თამაში შეუპოვარი და დაძაბული გამოდგა, საერთო ტერიტორიული უპირატესობა თბილისელებს ჰქონდათ, მოსკოველები კონტრშეტევებით იფარგლებოდნენ.

„ლოკომოტივის“ მეკარე სამოხინმა მთელი მატჩი საუკეთესოდ ჩაატარა — რამდენიმე უძნელესი ბურთი აილო ქორიძის, შენგელიას, მ. მაჩაიძისგან, მთელი მატჩი წარიმართა დინამოელთა იერიშებით და თუმცა კალუგელი მსაჯის ი. იგნატოვის საფინალო სასტვენისთვის გოლი არ იქნა გატანილი, თბილისის „დინამომ“ მიაღწია იმას, რისთვისაც იბრძოდა — აილო თავისი 41-ე ჭეშმარიტად ოქროს ქულა.

• • •

მოსკოვი. 1978 წლის 5 ნოემბერი. უტევენ დინამოელები რ. შენგელია (მარცხენა ფოტოზე) და დ. ყიფიანი.

ჩვენი სპეციალური კორესპონდენტების — ა. კოტორაშვილისა და კ. შანიძის ფოტოები.

## სხვა მატჩები

4, 5 და 6 ნოემბერს გაიმართა სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის ბოლოსწინა, 29-ე ტურის შეხვედრები:

„დინამო“ მ. — „არარატი“ 1:1
„ზარია“ — „ნეფთჩი“ 1:0.
„ზენიტი“ — „შახტიორი“ 0:8
„ტორპედო“ — „დნეპრი“ 1:2
„დინამო“ კ. — „ქაირათი“ 8:0.

## გათამაშების ცხრილი

უმაღლესი ლიგა
ძირითადი შემადგენლობანი
მდგომარეობა 7 ნოემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ თბ. | 29 | 17 | 7 | 5 | 43—22 | 41 |
| „დინამო“ კ. | 29 | 15 | 8 | 6 | 41—19 | 38 |
| „შახტიორი“ | 29 | 16 | 5 | 8 | 41—29 | 37 |
| „დინამო“ მ. | 29 | 14 | 9 | 6 | 36—22 | 36 |
| „სპარტაკი“ | 29 | 13 | 5 | 11 | 41—33 | 31 |
| ცსკა | 29 | 13 | 4 | 12 | 34—39 | 30 |
| „ჩერნომ.“ | 29 | 11 | 10 | 8 | 38—26 | 30 |
| „ტორპედო“ | 29 | 11 | 10 | 8 | 34—27 | 30 |
| „ზენიტი“ | 29 | 9 | 8 | 12 | 31—43 | 26 |
| „ფახთაქორი“ | 29 | 9 | 7 | 13 | 41—42 | 25 |
| „ზარია“ | 29 | 9 | 7 | 13 | 36—42 | 25 |
| „ქაირათი“ | 29 | 9 | 7 | 13 | 29—40 | 25 |
| „ნეფთჩი“ | 29 | 8 | 6 | 15 | 27—38 | 22 |
| „ლოკომოტ.“ | 29 | 7 | 9 | 13 | 26—39 | 22 |
| „არარატი“ | 29 | 8 | 5 | 16 | 18—40 | 21 |
| „დნეპრი“ | 29 | 8 | 3 | 18 | 24—39 | 19 |

## მეორე ლიგა

**5 ნოემბერს** გაიმართა II ლიგის IV ზონის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო გათამაშების ბოლო ტურის კალენდარული შეხვედრები, რომელთა შესახებ ჩვენი კორესპონდენტები ტელეფონით გვატყობინებენ:

### „დინამო“ (ზუგდიდი) — „გაზოვიკი“ (ორენბურგი) 2:0

ზუგდიდელები წარმატებით თამაშობდნენ ბოლო ტურებში და გათამაშების დასკვნით დღესაც თავის აქტივს მორიგი 2 ქულა შემატა. პირველი რამდენიმე იერიშის შემდეგ, 35-ე წუთზე ნაჭყებიამ ზუსტი დარტყმით დააწინაურა თავისი გუნდი.

სტუმრებმა მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს მასპინძლებს შესვენების შემდეგაც, თუმცა მათ კარან კვლავ ხშირად იქმნებოდა საფრთხო მომენტები. 70-ე წუთზე „გაზოვიკის“ ერთ-ერთმა მცველმა ხელით ითამაშა, რისთვისაც დაინიშნა პენალტი. იგი კარგად გამოიყენა კვარაცხელიამ — 2:0.

გ. ალშიბაია.

### „დინამო“ (ბათუმი) — „ავტომობილისტი“ (ბაქო) 1:0

მატჩის დასაწყისში შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ დინამოელები დიდი ანგარიშით დაამარცხებდნენ თავიანთ მეტოქეს. დაახლოებით 15 წუთის მანძილზე თამაში „ავტომობილისტის“ კართან მიმდინარეობდა, შელიამ, ბეჟანიძემ და სხვებმა ხელიდან გაუშვეს ანგარიშის გახსნის ხელსაყრელი მომენტები, მე-20 წუთზე კი კაკალაძე—ესებუას კომბინაცია ბაქოელთა კარის ალებით დამთავრდა.

მეორე ტაიმში ბათუმელთა იერიშები გრძელდებოდა, „ავტომობილისტი“ აშკარა გოლებს გადაურჩა გელაშვილის, გორგილაძის, ესებუას დარტყმების შემდეგ და დინამოელები დასჯერდნენ ერთადერთ გოლს.

გ. მურვანიძე.

### „ლოკომოტივი“ (სამტრედია) — „ტურბინა“ (ნაბერეჟნიე ჩელნი) 2:1

მიუხედავად საგრძნობი ტერიტორიული უპირატესობისა სამტრედიელებმა პირველ ტაიმში მხოლოდ ერთხელ მიაღწიეს წარმატებას: გოლი მე-15 წუთზე გაიტანა ცუცქირიძემ. შემდგომში ჩახუნაშვილმა მეორედ აილო „ტურბინას“ კარი. თითქოს მატჩის ბედი საბოლოოდ გადაწყვეტილი იყო, მაგრამ სტუმრებმა გააძლიერეს იერიშები, რაც მე-80 წუთზე ვებერის მიერ გატანილი საპასუხო გოლით დამთავრდა. „ტურბინას“ შეეძლო ეხსნა ქულა, როცა 87-ე წუთზე ლოკომოტიველთა კარში დაინიშნა პენალტი, მაგრამ კარგად ითამაშა მეკარე კიკალეიშვილმა და მოიგერია ბურთი.

სამტრედიის „ლოკომოტივის“ ფეხბურთელთა კოლექტივი მხურვალედ ულოცავს უფროს კოლეგას — თბილისის „დინამოს“ სსრ კავშირის ჩემპიონობის მოპოვებას.

ა. სირაძე.

### „დილა“ (გორი) — „გასტელო“ (უფა) 1:0

ორმხრივ დაძაბულ ბრძოლაში პირველმა ტაიმმა ჩაიარა ისე, რომ ვერც ერთმა მხარემ ვერ შეძლო ბურთის გატანა, ამასთან საუკეთესოდ ითამაშეს მეკარეებმა—გორელმა ბერიძემ და უფელმა პოპოვმა.

ერთადერთი გოლი, რომელმაც „დილას“ გამარჯვება მოუტანა, გატანილი იქნა 64-ე წუთზე. ქერდიკაშვილმა კარგად გამოიყენა მელაძის გადაცემა და უფელთა კარში გაგზავნა ბურთი — 1:0.

ი. თევდორაშვილი.



„ოქროს“ შემოდგომა.

გ. იაშვილის ნახატი.

# რეგბის ქართველ ოსტატთა დიდი გამარჯვება





თბილისი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. 5 ნოემბერი.

„ლოკომოტივი“ (თბილისი) — „სლავა“ (მოსკოვი) 30:3 (14:3).

„ლოკომოტივი“: ცისკარიშვილი, ჩაჩანიძე, ცხვედიანი, წერეთელი, ჯვარიძე, პეტუხოვი (დოლიძე), ლიბრაძე, ბენდიაშვილი, კილასონია, ანთაძე, ჟღენტი, მ. ხარშილაძე, სალთხუციშვილი, ლიპარტელიანი, გიორგაძე.

„სლავა“: კოლესნიკოვი, ვატოშკინი, ბოგდანი, ფილენკო, კოროტაევი, ბარინოვი, ტოკარევსკი, ნეკრასოვი, დემიდოვი, ბელიაევი, უსპენსკი, ბელკოვიჩი, ტიხონოვი, ნოვიკოვი, ლისენკო (პარამონოვი).

მსაჯი რ. ივანიუხინი (ლენინგრადი).

## თასმა ბინა თბილისში დაიდო

საქართველოს რეგბის მოყვარულები სამ წელიწადს ელოდნენ ამ დღეს. მატჩის სანახავად ჩამოვიდნენ ქუთაისიდან, ჭიათურიდან, ჩოხატაურიდან...

თბილისის „ლოკომოტივმა“ ადრევე, თასის პირველ გათამაშებაშიც დაამტკიცა, რომ გუნდს ხელეწიფება ყველაზე მაღალი მწვერვალების დაპყრობაც. ამაზე მიუთითებდა გუნდის მიერ მოპოვებული საკავშირო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლებიც.

სსა-სთან თასის ნახევარფინალური შეხვედრის შემდეგ საკავშირო ტურნირების მთავარმა მსაჯმა მ. მაქსიმოვმაც დაადასტურა ეს აზრი: — ახლა ჩვენს ქვეყანაში თბილისელი რკინიგზელები ყველაზე მონოლითური, ტექნიკური, ყველაზე ძალისმიერი გუნდია და ეჭვიც აღარ მეპარება, რომ თასი თბილისში დარჩებაო.

ძველი სპეციალისტის მიერ ორი დღით ადრე გამოთქმული პროგნოზი გამართლდა — **„ლოკომოტივმა“ დაამარცხა „სლავა“ და სსრ კავშირის თასის მფლობელი გახდა.**

მაგრამ გამარჯვება იოლად როდი მოვიდა. მატჩი თბილისელთა მძაფრი შეტევით დაიწყო, „სლავა“ მდგომარეობის გათანაბრებისთვის შეუპოვრად იბრძოდა. მისი პირველივე კონტრშეტევა ბელიაევმა არეკვლით დარტყმითა და ანგარიშის გახსნით დაამთავრა...

მასპინძელთა ამ პირველი მარცხის მიუხედავად, საბოლოო წარმატებაში ეჭვი არავის შეჰპარვია. ყველა კარგად ხედავდა „ლოკომოტივი“ როგორ ერთ მძლავრ მუშტადაც იყო შეკრული. მართლაც, სტუმრებმა ანგარიშის შენარჩუნება მხოლოდ ათიოდე წუთს შეძლეს. მე-19 წუთზე კილასონიამ საჯარიმოს ზუსტი დარტყმით მდგომარეობა გაათანაბრა — 3:3 და მეტოქის პოზიციების დაზვერვაც თითქოს ამით დამთავრდა. მასპინძლები გადამწყვეტ იერიშზე გადავიდნენ და საბოლოოდ დამსახურებული გამარჯვება მოიპოვეს.

აი ისინი, ვინც ამ ფინალურ მატჩში გუნდს გამარჯვების ქულები მოუტანა:

21-ე წუთი. მ. ხარშილაძე იღებს მეტოქის „ქალაქს“ — 7:3.

29-ე წუთი. დ. კილასონიას გააქვს საჯარიმო — 10:3.

38-ე წუთი. მ. ხარშილაძე ისევ ბურთიანად შედის მეტოქის „ქალაქში“ — 14:3.

50-ე წუთი. თ. ლიპარტელიანი კვლავ ზრდის ანგარიშს — 18:3.

მე-60 წუთი. თ. ბენდიაშვილი იღებს „სლავას“ „ქალაქს“, კილასონია რეალიზაციას იყენებს — 24:3.

ბოლო წუთი. მ. ჯვარიძე (მოსკოველთა ჩათვლის მოედანზე ბურთის დადებით) და კილასონია წერტილს უსვამენ შეხვედრას — 30:3.

...თასის მფლობელს ეს წარმატება პირველებმა „სლავას“ რეგბისტებმა მინდორზე მიულოცეს, რის შემდეგ მოეწყო ფინალისტთა საზეიმო დაჯილდოება.

თბილისის „ლოკომოტივის“ გუნდს სსრ კავშირის ვერცხლის თასი გადასცეს საკავშირო პირველობათა მთავარმა მსაჯმა **მ. მაქსიმოვმა,** თასის გათამაშების მთავარმა მსაჯმა **გ. ფორმინმა** და საქართველოს სსრ რეგბის ფედერაციის თავმჯდომარემ, სახალხო დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ **ო. ხიზანიშვილმა.**

რკინიგზელმა სპორტსმენებმა მიიღეს სსრ კავშირის სპორტკომიტეტის პირველი ხარისხის დიპლომები და სამკერდე ჟეტონები, ხოლო „სლავას“ რეგბისტებმა — მეორე ხარისხის დიპლომები.

ხიზანიშვილმა თბილისელ რკინიგზელებს გადასცა, აგრეთვე, რესპუბლიკის ფედერაციის ბროლის თასი საკავშირო ჩემპიონატში წარმატებისთვის.

საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრიზები მიიღეს ფინალური მატჩის საუკეთესო მოთამაშეებმა „სლავას“ წევრმა ნ. ვატოშკინმა და ლოკომოტიველმა მ. ხარშილაძემ.

**ო. გელაშვილი.**

• • •

**სურათებზე:** ფინალური მატჩის მომენტი, ბურთით გარღვევაზეა მ. ხარშილაძე; „ლოკომოტივის“ გუნდი სსრ კავშირის ვერცხლის თასით.

### ულოცავენ

#### ბარაქალა, ბიჭებო!

„ლოკომოტივის“ რეგბისტთა გუნდის წევრებთან მრავალი წლის მეგობრობა გვაკავშირებს. მათთან ერთად ბევრი სიხარული და ჭირვარამი გაგვიზიარებია, რადგან ფაქტიურად გუნდი ჩვენს ხელში შეიქმნა და დავაჟკაცდა.

სულითა და გულით ვულოცავთ თბილისის რკინიგზელებს წლევანდელ დიდ წარმატებას — ბრინჯაოს მედლებისა და სსრ კავშირის თასის მოპოვებას.

ბარაქალა, ბიჭებო!

**გ. ყუფარაძე, გ. ტონია, ნ. ყიფიანი — თბილისის „ლოკომოტივის“ ყოფილი მწვრთნელები.**

#### გულით გვიხარია

თბილისელებმა თასზე შეხვედრებში დაამტკიცეს, რომ ღირსნი იყვნენ სსრ კავშირის ჩემპიონის ოქროს მედლებისა. „ლოკომოტივი“ ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი კოლექტივია. სულითა და გულით გილოცავთ დიდ წარმატებას!

**ვ. ბოგკოვი, „ავიატორის“ მწვრთნელი.**



### ჭადრაკი

#### ლიდერობენ საბჭოთა გუნდები

ბუენოს-აირესში (არგენტინა) მიმდინარეობს მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადა.

პირველად ოლიმპიადების ისტორიაში ვაჟთა შეჯიბრება შვეიცარიული სისტემით ტარდება, რაც სიმძაფრეს მატებს ლიდერობისთვის ბრძოლას.

VII ტურში საბჭოთა მოჭადრაკეებმა სძლიეს ბულგარეთის გუნდს — 2,5:1,5. პოლუგაევსკიმ და ვაჰანიანმა გაიმარჯვეს, რომანიშინი ყაიმს დასჯერდა, ხოლო გულკო დამარცხდა. VIII ტურში ჩვენი დიდოსტატები შეხვდნენ ამერიკის შეერთებული შტატების გუნდს და გაიმარჯვეს ანგარიშით 3:1. კვლავ მოიგო პოლუგაევსკიმ, ყაიმით დაამთავრეს თავიანთი პარტიები სპასკიმ და რომანიშინმა, პეტროსიანმა სძლია ბრაუნს. IX ტურში საბჭოთა გუნდი დამარცხდა გფრ-ის მოჭადრაკეებთან მატჩში. პოლუგაევსკიმ პარტია დათმო პფლეგერთან, სპასკი დაუზავდა ჰიუბნერს, პეტროსიანი — უნციკერს და ვაჰანიანი — ჰეხტს.

9 ტურის შემდეგ ჩვენს გუნდს 24 ქულა აქვს, გფრ-ს — 23,5, უნგრეთს — 23, აშშ-ს — 22,5 ქულა და 1 გადადებული პარტია, არგენტინას — 21,5. სათამაშო დარჩა ოთხი ტური.

ქალთა ოლიმპიადის მონაწილენი უკვე შეუდგნენ თამაშს ფინალურ ტურნირში.

შერჩევითი შეჯიბრების დასკვნით ტურში საბჭოთა მოჭადრაკეებმა სძლიეს ინგლისის გუნდს — 3:0.

ამრიგად, 1-8 ადგილებისთვის ფინალში ერთმანეთს ხვდებიან სსრ კავშირის, ინგლისის, უნგრეთის, გფრ-ის, იუგოსლავიის, პოლონეთის, ბულგარეთისა და ესპანეთის გუნდები. საინტერესოა, რომ ფინალის მიღმა დარჩა რუმინეთის ძლიერი კოლექტივი. მას შერჩევითი შეჯიბრების დასკვნით დღეს ესპანელებისთვის აუცილებლად უნდა მოეგო ანგარიშით 3:0, რომ ფინალში გასულიყო, მაგრამ ეს მან ვერ შეძლო.

ფინალის I ტურში საბჭოთა მოჭადრაკეების მეტოქე იყო ბულგარეთის გუნდი. შეხვედრა ჩვენებმა მოიგეს — 2,5:0,5.

#### აშხაბადიდან საქართველოს დედაქალაქში

აშხაბადში დამთავრდა სსრ კავშირის ვაჟთა 46-ე ჩემპიონატის პირველი ლიგის ტურნირი. აი, მისი შედეგებიც: ვ. ცეშკოვსკი (ომსკი), ვ. ტუკმაკოვი (ოდესა) — 10,5-10,5 ქულა, ა. ბელიავსკი, ა. მიხალჩიშინი (ორივე — ლვოვი) — 10-10, გ. ტიმოშჩენკო (ნოვოსიბირსკი), ი. რაზუვაევი, ს. მაკარიჩევი (ორივე — მოსკოვი) — 9-9, ე. სვეშნიკოვი (ჩელიაბინსკი), ა. კოჩიევი (ლენინგრადი), ა. იუსუპოვი (მოსკოვი) — 8-8, ვ. სავონი (ხარკოვი) — 7,5, ვ. კუპრეიჩიკი (მინსკი) — 7, ლ. ალბურტი (ოდესა) — 6,5, ლ. გუტმანი (რიგა), ი. ივანოვი (ფერგანა) — 6-6, ა. კაკაგელდიევი (აშხაბადი), ა. კაპენგუტი (მინსკი) — 5,5-5,5.

ამ შეჯიბრებაში I-VI ადგილებზე გასული მოჭადრაკეები ჩემპიონატის მედლებისთვის განაგრძობენ ბრძოლას უმაღლესი ლიგის ტურნირში, რომელიც 1 დეკემბრიდან თბილისში გაიმართება.

### ძიუდოობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

#### საბჭოთა სტუდენტების წარმატება

რიო-დე-ჟანეიროში დამთავრდა სტუდენტ-ძიუდოისტთა მეხუთე ჩემპიონატი. **მსგავსი ტურნირების ისტორიაში საბჭოთა კავშირის ნაკრებმა პირველად შეძლო იაპონიის კოლექტივის დამარცხება და ჩემპიონის საპატიო ტიტული მოიპოვა.** ჩვენს გუნდში განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ **ვლადიმერ გურინი, დილარ ხაბულიანი** და **ვალერი პაშკინი,** რომლებსაც არც ერთი ორთაბრძოლა არ წაუგიათ. მეორე გუნდური ადგილი საფრანგეთის ძიუდოისტებმა დაისაკუთრეს, მესამე კი — იაპონელებმა.

ეს მოხდა შეჯიბრების ბოლო დღეს. მანამდე კი გამოვლინდნენ მჩატე და აბსოლუტურ წონით კატეგორიებში გამარჯვებულები. გროზნოელმა სტუდენტმა **ჰუსეინ მორაევმა** (მჩატე წონა) ფინალური ორთაბრძოლა დათმო იაპონელ **ხასაკავასთან** და ვერცხლის მედალი გადაეცა. აბსოლუტურ წონით კატეგორიაში უძლიერესი იყო 22 წლის იაპონელი ძიუდოისტი **იამასიტო.** კრასნოიარსკელმა ოლეგ ვაკულენკომ ორი შეხვედრა წააგო და საბოლოოდ V-VI ადგილები გაიყო. სულ პირად პირველობაში საბჭოთა მოჭიდავეებმა ოქროს ერთი და ვერცხლის სამი მედალი მოიპოვეს.

#### გმირის სახელობისა

**ბათუმი** (ტელეფონით, ჩვენი კორ.). აქ გრძელდება ნორჩ ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირი სსრ კავშირის გმირის ი. ჯინჭარაძის სახელობის პრიზზე.

მოგვყავს განვლილი 2 ტურის ტექნიკური შედეგები: საფეხბურთო სკოლა (ერევანი) — „პირინი“ (ბლაგოევგრადი) 3:1, ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) — „სმენა“ (მოსკოვი) 3:1, „დინამო“ (ბათუმი) — „ზვლ“ (ქლინა) 0:1, საფეხბურთო სკოლა (ერევანი) — „სმენა“ 3:0, „დინამო“ (ბათუმი) — „კრასნი ტრეუგოლნიკი“ (ლენინგრადი) 2:1.

ჩვენი გაზეთის მორიგი ნომერი გამოვა შაბათს, 11 ნოემბერს

**რედაქტორი ა. გასილაია.**

### თბილისი სპორტულ ცხოვრება

**ფეხბურთი.** საქართველოს ჩემპიონატი ჭაბუკთა შორის. 8 ნოემბერი. მაუდ-კამვოლის კომბინატის სტადიონი. **განათლების განყოფილება (თბილისი) — განათლების განყოფილება (ქუთაისი).** დასაწყისი 12 ს. „ლოკომოტივის“ ბაზა დიღომში. **„დინამო“ (თბილისი) — განათლების განყოფილება (ბათუმი).** 13 ს.


ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი
(აკ. წერეთლის პრ. № 2)

**ფეხბურთი**

სსრ კავშირის ჩემპიონატი
„დინამო“ (თბილისი) — „ტორპედო“ (მოსკოვი).

10 ნოემბერი
სათადარიგო შემადგენლობანი
11 ნოემბერი
ძირითადი შემადგენლობანი
მატჩების დასაწყისი 19 ს.

ბილეთები გაიყიდება ორგანიზაციებზე — 9 და 10 ნოემბერს დილის 10 საათიდან.


გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-51; მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93-93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-57.

ИНДЕКС 66435

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 02287